კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2025 წლის 17 ოქტომბერი

ქ. კასპი

კასპის მუნიციპალიტეტში, წინარეხის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში მდებარე სოფელ გომიჯვარში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №67.09.31.688) სააგარაკე/საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის IV თავის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 38-ე, 41-ე, 43-ე და 47-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-16 მუხლისა და მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1
დამტკიცდეს წინარეხის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში მდებარე სოფელ გომიჯვარში (საკ. კოდი 67.09.31.688) სააგარაკე/საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი, ტერიტორიათა გამოყენების რუკისა და განაშენიანების მართვის რეგლამენტის სახით, რომელიც თან ერთვის ამ დადგენილებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2
განაშენიანების დეტალური გეგმის ტექსტური ნაწილი (დასაბუთება და მისი დანართები) წარმოადგენს გეგმის დამტკიცების წინაპირობას და განხილულ იქნეს მასთან ერთად.

მუხლი 3
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კასპის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შოთა ბეგლარაშვილი**